



# ბანკოტყობის სფეროს ბანკოტყობის სტრატეგიული ხეობა

# განათლების ჯგუფის შეგარბენა

ირინა აბულაძე

გიორგი გახელაძე

დავით გბირიშვილი

კახა დავითური

ნინო დოლიძე

ნინო ევგენიძე

პავლე თვალაშვილი

ვატო ლეჟავა

გია ნოდია

მარიამ რამინაშვილი

სერგო რატიანი

ზურაბ ჭიაბერაშვილი

თამარ ხორბალაძე

სიმონ ჯანაშია



ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და იგი არ ასახავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

დოკუმენტი მიზნად ისახავს, ზოგად განათლებამზე ფოკუსით, საქართველოში განათლების პროცესის ორგანიზებასა და ამ პროცესით მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებელ პირთათვის ხედვის მომზადებას: მასში მოცემულია ძირითადი დებულებების ჩამონათვალი, რომელსაც ამ პირთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება დაემყაროს.

განათლება ადამიანისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე მრავალფეროვანი პროცესია. მსჯელობის შედეგად, დოკუმენტის ავტორებმა ვარჩიეთ, ამ მრავალფეროვანი პროცესიდან ერთ-ერთი ყველაზე არსებითი და აქტიური ფაზა – ზოგადი განათლება – გამოგვეყო და მასზე ფოკუსირებით ჩამოგვეყალიბებინა ძირითადი დებულებები. რა თქმა უნდა, ამ დებულებებიდან ნაწილი ძალაშია განათლების სფეროსთვის ზოგადად. ამასთან, მნიშვნელოვანია, დავინახოთ ზოგადი განათლების ბმა, ერთი მხრივ, ადრეულ და, მეორე მხრივ, პროფესიულ და უმაღლეს განათლებასთან.

მიმდინარე პოლიტიკური კონტექსტი და კონიუნქტურა ყოველთვის ნაკლებ სივრცეს ტოვებს მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ გრძელვადიან ხედვამდე დაფუძნებული მსჯელობისათვის. გრძელვადიან ხედვა საჭიროა, რათა გავიაზროთ განათლების როლი ინდივიდუალურად მოქალაქისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებაში, ხოლო თავად განათლება მკაფიო შედეგებზე ორიენტირებულ, მიზანმიმართულ, ორგანიზებულ და შემოქმედებით პროცესად ვაქციოთ.

ჩვენ დავსვით კითხვები: ზოგადი განათლების როგორი სისტემა გვინდა გვექონდეს 10-15 წლის შემდეგ? რა უნდა იყოს ამ სისტემის როლი ქვეყნის განვითარებაში? რამდენად მოამზადებს სწავლის პროცესი ინდივიდს წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის და დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეობისთვის? რამდენად ექნება მას გლობალური და ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები? დოკუმენტი ამ კითხვებზე პასუხების ძიებით შეიქმნა.

იმის მიუხედავად, რომ ითვალისწინებს მათ, დოკუმენტი არ წარმოადგენს განათლების სფეროში მოქმედი საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვას; მსოფლიოსა თუ საქართველოში ამ ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ანალიზს; ტიპურ რეკომენდაციებს, რომელთაც დაინტერესებული მკითხველი უამრავ სქელტანიან დოკუმენტში იპოვის.

იმავდროულად, სასურველია, მკითხველმა წინამდებარე დოკუმენტი ამავე პლატფორმაზე ავტორთა სხვა ჯგუფების მიერ შექმნილი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროების სტრატეგიული ხედვის დოკუმენტების კონტექსტში აღიქვას, რადგანაც ეს სამი სფერო – ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა, განათლება – ურთიერთგადაჯაჭვულია და ადამიანური კაპიტალის შემადგენელ სამ არსებით ნაწილად განიხილება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროების სტრატეგიული ხედვის დოკუმენტების ავტორთა მსგავსად, ამ დოკუმენტის ავტორთა სურვილია, (ა) ბიძგი მივცეთ საზოგადოებრივ დისკუსიას იმ დებულებებზე, რომელზე დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმების გარეშე თუნდაც კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და შემუშავებული პოლიტიკა ცარიელ სიტყვებად და მიუღწეველ ამოცანებად დარჩება; (ბ) ამ პრინციპების ჩვენეული ვერსიის წარმოდგენით, მაგალითი მიგვეცა, როგორ ახერხებენ განსხვავებული ხედვის მქონე ადამიანები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებას.

დოკუმენტის ავტორებს არ გვაქვს პრეტენზია საბოლოო ჭეშმარიტების დადგენაზე. თუ მკითხველი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხს მოისაკლისებს, არ დააკმაყოფილებს ამა თუ იმ დებულების სიცხადე, მოისურვებს ცალკეული განმარტებების გადახალისებას, ეს სწორედ დოკუმენტის ირგვლივ გამართულ საჯარო დისკუსიაში უნდა მოხდეს.

ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას ვუხდით ზურაბ ჭიაბერაშვილს ჯგუფის მუშაობის დროს და დოკუმენტის შექმნაში გაწეული დიდი ძალისხმევითვის, და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს (EPRC), ასევე შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივას (GGI), რომლებმაც შექმნეს პლატფორმა, რომ დოკუმენტის ავტორებს განაცხადი საზოგადოებისათვის წარედგინათ.

1. განათლება, ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, არის საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ორგანიზებული პროცესი, რომლის მიზანია მის მონაწილეებს შორის საკუთარი თუ საზოგადო ცოდნის, გამოცდილების და ღირებულებების ურთიერთგაზიარება. ამ მიზანმიმართულ პროცესს აქვს შედეგი: პროცესის ყველა მონაწილისთვის იზრდება პიროვნებად სრულად რეალიზაციის, ეკონომიკური აქტივობისა და კვალიფიციური შრომისთვის მომზადებისა და თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვნად და დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა.

ადამიანმა განათლება<sup>1</sup> შესაძლებელია სამი გზით მიიღოს: 1. ფორმალურ სისტემაში (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი), სადაც სწავლის შედეგები ფასდება და ამ შეფასების აღიარება საყოველთაოა; 2. ორგანიზებულ გარემოში, სადაც სწავლის შედეგების ფორმალური შეფასება არ არსებობს ან ასეთი შეფასების აღიარება საყოველთაო არაა (ტრენინგები, ბანაკები, კონფერენციები); და 3. სოციალიზაციის პროცესში (თანაცხოვრებით, თვითგანათლებით, ქმედებით, დაკვირვებით, მოგზაურობით).

ადამიანის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება და საგანმანათლებლო პროცესში მისი მონაწილეობა, ასევე ამ პროცესში მონაწილეობის შედეგად მიღებული გამოცდილება (შეძენილი ცოდნა და უნარები, ღირებულებათა გაზიარებული სისტემა) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ირგვლივ არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე. ადრეული განვითარებისა და აღზრდის პროცესის სხვა ფაქტორები (კვება, ჯანმრთელობა, თამაში, არაძალადობრივი გარემო) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რამდენად შეძლებს ადამიანი თავისი შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენას და გამოყენებას ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობისას. თავის მხრივ, ზრდასრულობის მიღწევისას, ადამიანის მიერ თავისი შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენა და გამოყენება მას უწყობს პიროვნებად სრულად რეალიზებულობის განცდას, ხდის უფრო მეტად აქტიურს, როგორც მოქალაქეს და როგორც შრომის ბაზრის კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ აგენტს<sup>2</sup>.

ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი შედეგი არის არა მხოლოდ შესაბამისი სტატუსი, რაც ფორმალური დიპლომით ან ხარისხით დასტურდება, არამედ ცოდნა, უნარ-ჩვევები და ღირებულებები, რაც ამ პროცესში მონაწილეობით მიიღება<sup>3</sup>. ასეთი შედეგი კი, ჩვენი აზრით, დგება, როდესაც გააზრებულია, რომ საგანმანათლებლო პროცესში პიროვნების მონაწილეობა თავად არის ღირებულება. აქ წარმოდგენილი პრინციპების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება ყველაზე მეტად დაგვაახლოებს სასურველ შედეგს<sup>4</sup>.

2. განათლება, როგორც ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის მნიშვნელოვანი მეთოდი და საშუალება, თავად წარმოადგენს ადამიანის უფლებას. თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების უკეთესი დონე ყოველ მოქალაქეში აძლიერებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას.

ჩვენი აზრით, ღირსება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა, თავისუფლება, პატიოსნება, პასუხისმგებლობა, კაცთმოყვარეობა (ჰუმანურობა), თანადგომა (ემპათია), თვითმოქმედება (ავტონომიურობა) ერთ-

<sup>1</sup> პიროვნებას ჯანმრთელობა, როგორც აქტივი ეძლევა დაბადებით და, უპირველესად, იგია პასუხისმგებელი, გაუფრთხილდეს და შეინარჩუნოს ეს აქტივი. ჯანმრთელობისაგან განსხვავებით, პიროვნება თანდათან იძენს განათლებას, როგორც აქტივს.

<sup>2</sup> გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, 2019 წელს საქართველო სამუშაო ძალის უნარებით 141 ქვეყნიდან 125-ე ადგილს იკავებს, პერსონალის ტრენინგის ხარისხით – 123-ე, ხოლო პროფესიული გადამზადების ხარისხით – 135-ე ადგილს, რითაც ჩამორჩება პოსტსაბჭოთა და სხვა შესაბამის ქვეყნებს რეგიონში (2019). იხ. <https://galatndtaggart.com/upload/reports/14673.pdf>

<sup>3</sup> საქართველოში დაბალპროფიქტიულ შრომის ბაზარს განაპირობებს ე.წ. "ცოდნის გაუფასურება" (ვერტიკალური შეუსაბამობა), დისბალანსი თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად საქმიანობის ტიპებსა და იმ პროფესიებს შორის, რომელსაც დღეს ახალგაზრდები მასობრივად ეუფლებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ჰორიზონტალური შეუსაბამობა). ამასთან, საქართველოში განათლების ყოველი დამატებითი წელი ინდივიდის ყოველთვიურ ანაზღაურებას ზრდასრულობისას საშუალოდ 7%-ით ზრდის. მსოფლიოში იგივე მაჩვენებელი საშუალოდ 10%-ია. იხ. [https://osgf.ge/files/2017/Publications/Amashukeli\\_Lezhava\\_Gugushvili\\_2017.pdf](https://osgf.ge/files/2017/Publications/Amashukeli_Lezhava_Gugushvili_2017.pdf)

<sup>4</sup> სასკოლო განათლების წლების ფორმალური რაოდენობა საქართველოში საშუალოდ 12.9 წელია, თუმცა სწავლების დაბალი ხარისხი პროცესის რეალურ შედეგს 8.3 წლის განათლების ექვივალენტად აქცევს; დანაკლისი 4.6 წელს შეადგენს (2020). იხ. <https://www.worldbank.org/en/publication/human-capital>

**ბა, თანამშრომლობა**, საკვანძო ადამიანური ღირებულებებია, რომელიც პიროვნებაში განათლების ფორმალური პროცესის მიღმაც ვითარდება. ამ დებულებით (1) კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ საკვანძო ცხოვრებისეული ღირებულებების მნიშვნელობას და (2) ხაზს ვუსვამთ, რა ღირებულებებს უნდა დაეფუძნოს განათლების სისტემა.

მიგვაჩნია, რომ განათლების ფორმალურ სისტემაში ამ ღირებულებების მიზანმიმართული კულტივირება – რაც აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ქმედებაა – განათლების ფორმალური სისტემის მიღმა იმავე ღირებულებების გავრცელებისა და საზოგადოების მიერ ამ ღირებულებებით ცხოვრების შესაძლებლობას ზრდის<sup>5</sup>. ეს კი ხელსაყრელ გარემოს ქმნის საიმისოდ, რომ პიროვნებამ საზოგადოებაში ამ ღირებულებებით იცხოვროს და წარმატებასაც მიაღწიოს.

### **ალტერნატივა**

სახელმწიფოს მიერ განათლების მიზნების განსაზღვრა შეიცავს რისკს (და რეალურად ასეც ხდება), სახელმწიფომ ასევე განსაზღვროს განათლების პროცესის ორგანიზების ფორმები და სწავლების მეთოდები. ეს კი, ჩვენი ამრით, მიზანშეუწონელია (მიზნები მე-4 დებულების განმარტებაშია ახსნილი). შესაბამისად, შეიძლება ალტერნატიული გზით წასვლა იმ ღირებულებათა განსაზღვრაშიც, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს და ემსახურებოდეს განათლება. კერძოდ, სახელმწიფო წავიდეს არა „პოზიტიური სიით“ და პრინციპით, „რაც დაშვებული არ არის, აკრძალულია“, არამედ – „ნეგატიური სიით“ და პრინციპით „რაც აკრძალული არ არის, დაშვებულია“. ასეთი ალტერნატიული მიდგომის მაგალითად გამოდგებოდა დებულება

**„საქართველოში აკრძალულია მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემლახავი ნებისმიერი სწავლა-განათლება“.**

ეს დაადგენდა „წითელ ხაზებს“ განათლებაში სახელმწიფო ჩარევისთვის და შექმნიდა საფუძველს არაცენტრალიზებული, მრავალფეროვანი და პლურალისტული განათლების სისტემის შესაქმნელად.

- 3. განათლება ინდივიდუალური და საზოგადო სიკეთეა. ცალკეული ინტერეს-ჯგუფებიცა (ოჯახი, თემი, მოქალაქეთა გაერთიანება, სხვა ინდივიდი) და საზოგადოებაც მთლიანად დაინტერესებულია განათლების, როგორც საკუთარი წევრების ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებით. იმავედროულად, ინდივიდების განათლების დონის ზრდა, თავის მხრივ, ზრდის ერთობის (community) თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებად შედგომის შესაძლებლობას: განათლებაში ვლინდება საზოგადოების მიერ საკუთარი თავის შექმნისა და განვითარების სურვილი.**

ჩვენ ვთანხმდებით, რომ საზოგადოების, როგორც მოქალაქეთა ერთობის პასუხისმგებლობაა, განათლების, როგორც საზოგადო სიკეთის ზრდისთვის ადეკვატური<sup>6</sup> პირობების შექმნა სოლიდარობის მექანიზმების (მათ შორის, სოციალური დაცვის მექანიზმების) საშუალებით. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, შემდგომ დებულებებში, ჩვენ სოლიდარობის სახელმწიფო მექანიზმებზე ვკონცენტრირდებით, თუმცა ეს არათუ არ გამორიცხავს ცალკეული ინტერეს-ჯგუფების მიერ სხვა, არასახელმწიფო მექანიზმების დამატებით გამოყენებას, არამედ, სახელმწიფოს როლის მინიმალურად განსაზღვრით, მეტ სივრცეს სწორედ არასახელმწიფო მექანიზმების გამოყენებისთვის ტოვებს.

ამასთან, საზოგადო სიკეთე ინდივიდების მონაწილეობით იქმნება: პიროვნება საგანმანათლებლო პროცესში უბრალოდ განათლების პასიური მიმღები კი არაა, თავად მონაწილეობს აქტიურად გამოცდილების/კომპეტენციის: (ცოდნა, უნარები, ღირებულებები) შექმნასა და გაზიარებაში. ამ როლიდან გამომდინარე, ზოგადი განათლების საყოველთაობისა და სავალდებულობის გათვალისწინებით, განათლების პროცესში მონაწილეობა ინდივიდის და მშობლის/მეურვის, როგორც საზოგადოების წევრების, პასუხისმგებლობაცაა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ განათლების პროცესში მონაწილეობისათვის ინდივიდს ადეკვატური პირობები აქვს შექმნილი.

<sup>5</sup> დემოკრატიის ინდექსით მიგვეკუთვნებით „პიბრიდული რეჟიმების“ ქვეყნებს; პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ინდექსით მიგვეკუთვნებით „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნებს. იხ. <https://freedomhouse.org>

<sup>6</sup> იხ. სოციალური დაცვის სისტემის სტრატეგიული ხედვა, EPRC, 2020.

**4. საზოგადო და ინდივიდუალური ინტერესების საპასუხოდ, ადამიანის ადრეული განვითარების ეტაპიდანვე, საზოგადოება ქმნის პირობებს – არჩევანის თავისუფლების, ავტონომიურობისა და მრავალფეროვნების პრინციპების დაცვით – განათლების ორგანიზებულ და მიზანმიმართულ პროცესში ინდივიდის მონაწილეობისა და ამ მონაწილეობით ინდივიდის მიერ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება-გაუმჯობესებისათვის.**

განათლება ორგანიზებული და მიზანმიმართული პროცესია, თუმცა არა ცენტრალიზებული. რაც უფრო მრავალფეროვანია ამ პროცესში გამოყენებული ორგანიზების ფორმები და სწავლების მეთოდები, მით მეტად პასუხობს განათლების სისტემა ყოველი მონაწილის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მით მეტად ეხმარება ადამიანს, საკუთარი შესაძლებლობები სრულფასოვნად გამოავლინოს. განათლების ორგანიზების მრავალფეროვანი ფორმები და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები პიროვნებას არჩევანის თავისუფლებას აძლევს და, იმავდროულად, თავისუფალი არჩევანის გაკეთების უნარს უვითარებს.

ეს მიდგომა (1) გაზრდის განათლების სისტემის რეაგირებისა და ადაპტირების უნარს ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე, (2) შეამცირებს ცალკეული შესაძლო ჩავარდნებით გამოწვეულ ზიანს (ცენტრალიზებულ სისტემაში ერთი ჩავარდნა აისახება ყველაზე), (3) სისტემა მეტად იქნება ორიენტირებული პიროვნების ინდივიდუალობის წახალისებაზე და (4) საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეებში შეამცირებს ძალდატანების განცდის ხარისხს, რომ სისტემა „ყველას ერთ თარგზე ჭრის“. განათლების სისტემა თავად ხდება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მოდელი, სადაც ინდივიდები, გარკვეული წესების დაცვით, თავად აკეთებენ თავისუფალ არჩევანს თავიანთი ინტერესებისა და მზაობის შესაბამისად და პასუხისმგებლობასაც იღებენ ამ არჩევანის შედეგებზე.

ჩვენი აზრით, მრავალფეროვნების, როგორც პრინციპის გააზრება განათლებაში ამასთანავე გულისხმობს, რომ (1) ფორმალური განათლების მიღმა ასევე არსებობს სწავლა სოციალიზაციის პროცესში, ასევე სწავლება ისეთ ორგანიზებულ გარემოში, სადაც სწავლის შედეგების ფორმალური შეფასება არ არსებობს ან ასეთი შეფასების აღიარება საყოველთაო არაა, და (2) ფორმალური განათლების ფარგლებში ორიენტირი პიროვნების ინდივიდუალობის წახალისება და პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებაა.

ფორმალური განათლების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, არამედ განათლების მიზნების განსაზღვრის დონეზეც კი. ამ მიზნების განსაზღვრაში – პიროვნულ, თემისა თუ ეროვნულ დონეზე – სახელმწიფოს მინიმალური როლი უნდა ჰქონდეს<sup>7</sup> (სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს, რას ვერ მოემსახურება ან რას არ უნდა ემსახურობდეს საგანმანათლებლო საქმიანობა), ხოლო წამყვანი – თავად განათლების პროცესში მონაწილე მხარეებს (მოსწავლე, მშობელი, თემი, მასწავლებელი). საგანმანათლებლო საქმიანობის ავტონომია არა მხოლოდ პროცესის მართვასა და ფინანსური რესურსის განკარგვაში, არამედ საკუთარი საგანმანათლებლო მიზნების, ორგანიზაციული ფორმებისა და სწავლების მეთოდების განსაზღვრაშიც უნდა გამოიხატოს.

**5. სახელმწიფოს მიერ დაწესებული მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულება ავტონომიურია საკუთარი საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრაში, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაში, სასწავლო რესურსის შექმნა-გამოყენებაში, დაწესებულების მართვასა და ფინანსური (მათ შორის, ცენტრალური მმართველობის თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან მიღებული) რესურსის განკარგვაში.**

როგორც წინა დებულების განმარტებაში აღვნიშნეთ, ფორმალური განათლების სისტემის მიზნების განსაზღვრაში – პიროვნულ, თემისა თუ ეროვნულ დონეზე – სახელმწიფოს მინიმალური როლი უნდა ჰქონდეს (სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს, რას ვერ მოემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულება), ხოლო წამყვანი – თავად განათლების პროცესში მონაწილე მხარეებს (მშობელი,

<sup>7</sup> ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის 84-ე დადგენილებაში ჩამოთვლილია, ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე რა უნდა შეძლოს ინდივიდმა. ეს ჩამონათვალი თანხვედრაშია საკვანძო კომპეტენციების მე-5 დებულებაში მოცემულ ჩამონათვალთან.

თემი, მასწავლებელი). ჩვენი ამრით, სწორედ დაინტერესებულ პირთა განსხვავებული არჩევანი და მრავალფეროვანი მოთხოვნა ქმნის განათლების სისტემის განვითარების შესაძლებლობას.

პიროვნების საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების გამოყენებისა და სასწავლო რესურსის შექმნაში მოსწავლის აქტიური მონაწილეობისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლობა გავიაროთ, როგორც სახელმწიფოს მიერ არარეგულირებადი პროცესია. მასწავლებლობის სახელმწიფოს რეგულირებად პროცესიად დადგენა ქმნის განათლების სისტემის ცენტრალიზების, უნიფიცირების, პროტექციონიზმის, პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების და, შესაბამისად, განათლების სფეროში სახელმწიფოს უფლებამოსილებების უსასრულოდ ზრდის შესაძლებლობას, რაც მე-4 დებულებას ეწინააღმდეგება. **საგანმანათლებლო დაწესებულება ავტონომიურია მასწავლებელთა შერჩევა-გადამზადების პროცესში და მასწავლებლის კვალიფიკაციის მოთხოვნებს ადგენს თავისი საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე.**

### ალტერნატივა 1

წინა აბზაცში აღწერილი მიდგომის ალტერნატივა შეიძლება იყოს მასწავლებლის საქმიანობისათვის მოსამზადებელი და მასწავლებლის კვალიფიკაციის ამალღების სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი დაწესებულებების არსებობა, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე წამოსული მოთხოვნის საპასუხოდ იქმნება.

### ალტერნატივა 2

პირველი ალტერნატივის დამატებით, შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს წამახალისებელი მექანიზმები მასწავლებლის საქმიანობისათვის მოსამზადებელი და მასწავლებლის კვალიფიკაციის ამალღების სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი დაწესებულებების შესაქმნელად. ასეთი მიდგომის დროს მნიშვნელოვანია, რომ არ შეიზღუდოს საგანმანათლებლო დაწესებულება ავტონომიურობა მასწავლებელთა შერჩევა-გადამზადების პროცესში.

საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო რესურსი იქმნება ავტონომიურ რეჟიმში, დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის საკუთარი თუ საზოგადო ცოდნის, გამოცდილების და ღირებულებების ურთიერთგაზიარებით. სასწავლო რესურსი მორგებულია პიროვნების ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. სასწავლო რესურსი არის საშუალება, პიროვნებამ განათლების მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად ან ზრდასრული ცხოვრებისათვის საჭირო საკვანძო კომპეტენციები შეიძინოს.

საგანმანათლებლო პროცესში პიროვნების მიერ მისაღებ საკვანძო კომპეტენციებად<sup>8</sup> განვიხილავთ კონტექსტისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაციას, რომელიც პიროვნებას სჭირდება ინდივიდუალური სრულყოფისა და განვითარებისათვის, აქტიური მოქალაქეობისათვის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის. ეს კომპეტენციებია: 1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია, 2. უცხო ენაზე კომუნიკაცია, 3. მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში, 4. ციფრული კომპეტენცია, 5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი, 6. პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია, 7. მეწარმეობისა და ინიციატივის აღების კომპეტენცია, 8. კულტურული გამომხატველობა.

## 6. საზოგადოება, კერძოსთან ერთად, საჯარო ფინანსებს<sup>9</sup> იყენებს საიმისოდ, რომ პიროვნებამ საკუთარი შესაძლებლობები სრულფასოვნად გამოავლინოს და, იმაგდროულად, განათლების მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად და/ან ქმედუნარიანი ზრდასრული ცხოვრებისათვის საჭირო

<sup>8</sup> აქ ვგერდნობით და ვეთანხმებით ევროკავშირის კომპეტენციების ჩარჩოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის. <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf>

<sup>9</sup> ჩვენი დოკუმენტის მიზნებისათვის, საჯარო ფინანსებში ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებას ვგულისხმობთ.



საკვანძო კომპეტენციები შეიძინოს. განათლების მისაღებად ინდივიდებში ჩადებული საჯარო ფინანსები განიხილება, როგორც ინვესტიცია პიროვნების განვითარებაში, ადამიანურ კაპიტალსა და სამოქალაქო იდენტობაში; ეს ფინანსები, იმავდროულად, განათლების სისტემის განვითარების საშუალებაა.

განათლებაში საჯარო ფინანსების გამოყენება კატეგორიულად არ აძლევს უფლებას სახელმწიფოს, გავიდეს მისი მინიმალური უფლებამოსილებებიდან, ჩაერიოს საგანმანათლებლო პროცესში, განსაზღვროს სწავლების მეთოდები. განათლების სისტემის მონაწილე მხარეების უფლებამოსილებების – მიზნები, ორგანიზაციული ფორმები, სწავლების მეთოდები – სახელმწიფოს მიერ მითვისება და საგანმანათლებლო პროცესის რეგულირების მცდელობა არა მხოლოდ სპობს მრავალფეროვნებას და პლურალიზმს, არღვევს ავტონომიას და აქვეითებს ფორმალური განათლების ხარისხს, ასევე აფერხებს განათლებაში არასაჯარო მექანიზმების გამოყენებას და/ან ამ მექანიზმების ეფექტიანობას.

მრავალფეროვან და პლურალისტულ განათლების სისტემაში – რაც შებენიერი მთავრობის პირობებში იქმნება და ვითარდება – მოქალაქეებისა და ცალკეული ინტერეს-ჯგუფების (ოჯახი, თემი, მოქალაქეთა გაერთიანება, სხვა ინდივიდი) საჭიროებათა უზრუნველყოფაში კერძო ფინანსების გამოყენება იზრდება. საქართველო, როგორც დაბალი გადასახადების იურისდიქცია, სწორედაც რომ დეტერმინირებულია, ასეთი სისტემა ჰქონდეს – მოიმიდოს არასაბიუჯეტო რესურსები განათლებაში. შებენიერი მთავრობის პირობებში მოქალაქეებსა და ცალკეული ინტერეს-ჯგუფებს ამისთვის მეტი ფინანსური რესურსიც აქვთ.

სახელმწიფო მოვალეა, უზრუნველყოს საყოველთაო-სავალდებულო განათლების საინფორმაციო სისტემის საჯარო და გამჭვირვალე მართვა, რათა სისტემის მონაწილეებმა ინფორმირებული არჩევანის გაცემა შეძლონ.

**7. საჯარო ფინანსების გამოყენებისას ორიენტირი ინდივიდია. საჯარო ფინანსების გამოყენების მექანიზმების შერჩევისას და ფორმირებისას გასათვალისწინებელია თითოეული მექანიზმის მიერ სოციალური და გეოგრაფიული დაბრკოლებების მინიმიზების შესაძლებლობა.**

რაც მეტადაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზოგად განათლებაზე გამოყოფილი თანხები მოქცეული ინდივიდის დაფინანსების ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრულ ფორმულაში, მით მეტადაა შებენიერი სახელმწიფო, რომ საჯარო ფინანსები პოლიტიკური მიზანშეწონილობით გამოიყენოს, განათლების სისტემის მონაწილე მხარეების უფლებამოსილებებში ჩაერიოს და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია დაარღვიოს.

ჩვენ მიდგომაა, რომ ინდივიდის დაფინანსების ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრულ საერთოეროვნულ ფორმულაზე დამატებით ადგილობრივ თვითმმართველობებს ჰქონდეთ უფლებამოსილება და ფინანსები, რათა შეძლონ სოციალური და გეოგრაფიული დაბრკოლებების მინიმიზება, მათ ტეროტორიაზე მცხოვრები ინდივიდების საჭიროებათა უფრო ადეკვატური გათვალისწინება და მათთვის არჩევანის უზრუნველყოფა. დაფინანსების ამ შერეულ – სახელმწიფო და ადგილობრივი ერთად – მოდელში დაფინანსების ორიენტირად ინდივიდი უნდა რჩებოდეს.

დოკუმენტის ავტორები ვაცნობიერებთ, რომ ინდივიდზე ორიენტირებული ზოგადი განათლების სისტემის დაფინანსების ასეთი შერეული მოდელის გამოყენების წინაპირობა ფართო უფლებამოსილებების მქონე, ფისკალურად დამოუკიდებელი, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობებია. თავად ეს მოდელიც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და შემოსავლების კვალობაზე უნდა ჩამოყალიბდეს.

შესაბამისად, განათლების სისტემის ჩვენეული ხედვის განსახორციელებლად საჭიროა, სრულფასოვანი დეცენტრალიზაციის გზით, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება და ფისკალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამის გარეშე, ერთი მხრივ, ადგილობრივ თვითმმართველობებს საკმარისი უფლებამოსილება და ფინანსები არ ექნებათ, მეორე მხრივ, დაბალი დარჩება მათი დემოკრატიულობის ხარისხი, რამაც განათლების სისტემის მონაწილე მხარეების უფლებამოსილებების ადგილობრივი ბიუროკრატიის მიერ მითვისება და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის დარღვევა განაპირობოს.

ვიდრე სრულფასოვანი დეცენტრალიზაცია განხორციელდება, ინდივიდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრულმა ფორმულამ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს რეგიონული თავისებურებები და ადეკვატურად შეძლოს სოციალური და გეოგრაფიული დაბრკოლებების მინიმიზაცია.

გეოგრაფიულ დაბრკოლებაში ვგულისხმობთ, რომ ყველა დასახლებულ პუნქტში ინდივიდს, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებს, არ აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს განათლების მიღების მისთვის სასურველი ორგანიზაციული ფორმა და/ან სწავლების მეთოდი.

ზოგადი განათლების დაფინანსების მოდელში ადგილობრივი თვითმმართველობის კომპონენტის გაჩენის პარალელურად, ინდივიდის არჩევანი ფართოვდება

- საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრების ახალი ფორმების შემოტანით (ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება და/ან არსებული საჯარო სკოლის მის საკუთრებაში გადაცემა<sup>10</sup>; დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სკოლების შექმნა<sup>11</sup>) და
- დისტანციური სწავლების, „სახლში განათლების“ (Home Schooling), მოდულების<sup>12</sup>, მოძრავი სემესტრების<sup>13</sup> და სწავლების ორგანიზების სხვა ფორმების გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების რომელი ფორმით და სწავლების რომელი მეთოდითაც (ან მათი კომბინაციით) არ უნდა მიიღებოდეს განათლება, სისტემა უზრუნველყოფს მის აღიარებას/დადასტურებას ეროვნული უწყების ან თავად სკოლის მეშვეობით.

საჯარო ფინანსების გამოყენებისას დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების დისკრიმინაცია საკუთრების ფორმის, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისა და სწავლების მეთოდის მიხედვით. არაკომერციული/არამომგებიანი საგანმანათლებლო საქმიანობა გათანაბრებული უნდა იყოს ქველმოქმედებასთან.

## 8. საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები მიღებას შეიძლება ახორციელებდნენ საკვანძო კომპეტენციების შეფასების მექანიზმების გამოყენებითა და საკუთარი საგანმანათლებლო მიზნების გათვალისწინებით. უმაღლესი განათლების მისაღებად ინდივიდის დაფინანსება მიზნობრივია.

შეიძლება არსებობდეს საბაზო განათლებიდან (IX კლასი) საშუალო (X-XII კლასები) და პროფესიულ განათლებაზე, ასევე საშუალო და/ან პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლის შემდეგი ალტერნატივები:

### ალტერნატივა 1

სახელმწიფო აწესებს სწავლის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო საკვანძო კომპეტენციების მინიმალურ ზღვრებს და აორგანიზებს ამ კომპეტენციების შემოწმების პროცესს. ამის გარდა, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებამ შეიძლება მიღების დამატებითი კრიტერიუმები დააწესოს.

### ალტერნატივა 2

საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ კომპეტენციების მინიმალურ ზღვრებსა და კრიტერიუმებს, რომელსაც ამ დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში იმოქმედებს

<sup>10</sup> აქ ფართო კომპეტენციების მქონე, ფისკალურად დამოუკიდებელი, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა ისევ წინაპირობად იგულისხმება.

<sup>11</sup> დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სკოლა (Charter School) შეიძლება დაფუძნდეს თემის, მოქალაქეთა გაერთიანების მიერ და მას სახელმწიფომ და/ან ადგილობრივმა თვითმმართველობამ, გარკვეული პირობებით, დაუთმოს მის საკუთრებაში არსებული იზოლირებული შენობა იქ საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებისათვის.

<sup>12</sup> ეს გულისხმობს საგნის გაგებას სრულად, მაგრამ შემჭიდროებულ ვადებში. ამ მეთოდით შესაძლებელია რეგიონების სკოლებში იმ კვალიფიკაციის პედაგოგების 1-2 თვიანი მივლინება, რომელიც კვალიფიკაციას ადგილზე დეფიცირტურია.

<sup>13</sup> ადგილობრივი თავისებურებების (მაგალითად, მოსავლის აღების სეზონი) გათვალისწინებით, შესაძლებელია რომელიმე სკოლაში სემესტრის დაწყებისა და დამთავრების ვადები არ დაემთხვეს საერთოეროვნულ პრაქტიკას.

პროგრამების აკრედიტაციის სახელმწიფო ან სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სისტემა<sup>14</sup>, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ან სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი.

საჯარო ფინანსების მექანიზმების გამოყენებისას და ინდივიდის დაფინანსების ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრული ფორმულის შემუშავებისას დაუშვებელია დისკრიმინაცია საშუალო და პროფესიულ განათლების დაწესებულებებს შორის. საშუალო განათლების სახელმწიფო მიერ დაფინანსების საყოველთაობა პროფესიული განათლების როგორც ინტეგრირებულ<sup>15</sup>, ისე წმინდად სახელობო პროგრამებზეც უნდა გავრცელდეს.

ჩვენი ამრით, უნდა არსებობდეს ქმედითი და გამჭვირვალე მექანიზმები, რომელთა მეშვეობით საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები პიროვნებას სხვა საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მიღებულ კრედიტებს უდიარებს. ინდივიდს უნდა შეეძლოს: ა) სხვადასხვა გზით მიღებული გამოცდილების კრედიტებში კონვერტირება, ბ) ამ კრედიტების თავისუფლად ტრანსპორტირება დაწესებულებებს შორის.

<sup>14</sup> ამ ალტერნატივაზე მსჯელობისას ჯგუფმა პრეფერენცია აკრედიტაციის სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სისტემას მიანიჭა.

<sup>15</sup> პროფესიული განათლების დაწესებულებათა ინტეგრირებული პროგრამები მოიცავს საშუალო განათლების კომპონენტებსაც, რათა ამ პროგრამის მონაწილემ შეძლოს უმაღლესი განათლების დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო კომპეტენციების შექმნა.

